საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ლევან დავითაძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის წევრობა: ფრაქცია ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

კომისიის (კომისიების) წევრობა: ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია; საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): პროპორციული

საანგარიშგებო პერიოდი: 2026 წელი

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი 11
2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა 129
3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა 0
4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა
   ინფრასტრუქტურის კომისია -6
   საფინანსო კომისია-16
5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა
   ინფრასტრუქტურის კომისია -35 საკითხი
   საფინანსო კომისია-53 საკითხი
6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა 0
7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს თანამდებობის პირებთან ყოველკვირეული სამუშაო შეხვედრების ფორმატში, ჩემი მხრიდან ინიცირებული იქნა 8 საკითხი. აღნიშნული საკითხების ამსახველი მასალები ანგარიშს თან ერთვის 8 PDF ფაილის სახით.

ინიცირებული საკითხების ნაწილი შემდგომი შესწავლისა და რეაგირების მიზნით გადაგზავნილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში და მათზე მიმდინარეობს მუშაობა. დარჩენილი საკითხების გადაგზავნა განხორციელდება ეტაპობრივად.

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა
   - 37

9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა
   - 63

10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები
    მოქალაქეებთან შეხვედრებისას გამოიკვეთა სოციალური დახმარების, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით სარგებლობის, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და საცხოვრებელი გარემოს მოწესრიგების საჭიროებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სხვადასხვა უბანში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებს.
11. სხვა განხორციელებული საქმიანობები

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოსა და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობის პარალელურად, ვხვდებოდი მოსახლეობას ქალაქის სხვადასხვა უბანში. შეხვედრების ფარგლებში ვეცნობოდი მოქალაქეთა საჭიროებებს, მათ მოსაზრებებს მუნიციპალური პროექტების შესახებ და უბნებისთვის პრიორიტეტულ საკითხებს.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და ინფრასტრუქტურის განვითარების, ასევე საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიების წევრი, მონაწილეობას ვიღებდი მუნიციპალური საკითხების განხილვაში, განსაკუთრებული ყურადღებით საბიუჯეტო რესურსების მიზნობრივი გამოყენებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებებზე.

შედეგი, ეფექტი:

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 10 სხდომაში, რომლებზეც განხილული იყო 109 საკითხი. ასევე მონაწილეობა მივიღე ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის 6 და საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის 16 სხდომაში, რომლებზეც ჯამში განხილული იყო 88 საკითხი.

მოქალაქეებთან გაიმართა 37 შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობდა 63 მოქალაქე. შეხვედრებმა შესაძლებელი გახადა მოსახლეობის საჭიროებებისა და სხვადასხვა უბნისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების უშუალოდ გაცნობა. მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს საფუძველს საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებისა და შემდგომი სამუშაო პრიორიტეტების განსაზღვრისთვის.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

* მოქალაქეებთან რეგულარული შეხვედრების გაგრძელება, გამოკვეთილი საჭიროებების სისტემატიზაცია და მათზე რეაგირების მიმდინარეობის მონიტორინგი;

* მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა, უბნების საჭიროებებისა და მოსახლეობის წინადადებების გათვალისწინებით;

* სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების ხელმისაწვდომობის საკითხებზე მუშაობა;

* საბიუჯეტო რესურსების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების საკითხებზე მუშაობა, შესაბამისი კომისიების საქმიანობის ფარგლებში;

* მუნიციპალური პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების ხელშეწყობა;

* მოქალაქეებთან შეხვედრებზე გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე შესაბამისი წინადადებების მომზადება და საკრებულოში განხილვისთვის წარდგენა.